პასუხები

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებულ შენიშვნებზე

1. **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მომავალი“-ს ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვაში შრომის ანაზღაურების ხარჯების მატების პრინციპი.**

   --- 2025 წლის ბიუჯეტში ა(ა)იპ სსს დაწესებულება ,,მომავალი“-ს შრომის ანაზღაურების ზრდა გარდა 10% - ისა გათვალისწინებული იყო ასევე 125 ლარით ზრდაც. აღნიშნული დაკორექტირდა და 2026 წლის ბიუჯეტში მხოლოდ 10% იანი ზრდა იქნება გათვალისწინებული.

2. **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბუკისციხეში,ს/გზის ერთ-ერთ მონაკვეთზე განვითარებული მეწყერული პროცესების სალიკვიდაციო სამუშაოების დასაფინანსებლად საჭირო სახსრები გათვალისწინებულია მიმდინარე საბიუჯეტო წელს,თუ 2026 წლის ბიუჯეტით?**

   --- გათვალისწინებული იქნება 2026 წლის ბიუჯეტში.

3. **გათვალისწინებულია თუ არა 2026 წლის ბიუჯეტის პროექტში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკისა და სამხატვრო სკოლის შენობების რეაბილიტაციისთვის საპროექტი-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაძენად საჭირო სახსრები.**

   --- გათვალისწინებული იქნება 2026 წლის ბიუჯეტში.

4. პროგრამა - ჩოხატაურის სამოქალაქო ბიუჯეტი (პროგრამული კოდი 01 01 05), აღნიშნული უნდა დარედაქტირდეს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 ივლისის, N 15 ,, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების შესაბამისად და ჩამოაყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, -ჩოხატაურის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამა (პროგრამული კოდის 01 01 05)

--- გათვალისწინებულია.

6.1.2. პროგრამა - ჩოხატაურის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამა (პროგრამული კოდი 01 01 05)

პროგრამის აღწერა:

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამა წარმოადგენს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საქმიანობაში საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 85-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებით ფორმას და საბიუჯეტო პროცესის შემადგენელ ნაწილს, რომელიც მოქალაქეებს აძლევს შესაძლებლობას წარადგინონ და აირჩიონ მათთვის პრიორიტეტული პროექტები, რომლის განხორციელებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი. პროგრამის ფარგლებში მოქალაქეთა მიერ წარმოდგენილი იდეების განხორციელების არეალი უნდა ექცეოდეს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში და მიზნად ისახავდეს საზოგადოებრივი სიკეთის შექმნას.

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანს წარმოადგენს თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა მოქალაქეთა საჭიროებებზე დაფუძნებული ბიუჯეტის შემუშავების, საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის ამაღლების გზით.".

იქედან გამომდინარე, რომ ჩოხატაურის სამოქალაქო ბიუჯეტი 2023 წელს წარმატებით განხორციელდა და მოქალაქეთა მხრიდან ჩართულობა და დაინტერესება დიდი იყო, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე უმჯობესი იქნება თუ, პროგრამული კოდი 01 01 05 ნაცვლად 10 000 ლარისა განისაზღვროს 20 000 ლარით.

--- გათვალისწინებული იქნება 2026 წლის ბიუჯეტში და განისაზღვრება 30,0 ათასი ლარით.

5, პროგრამა - მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა საზოგადოების ინფორმირება (პროგრამული კოდი 01 01 04) გათვალისწინებული 10 000 ლარის ნაცვლად განისაზღვროს 2000 ლარით, ვინაიდან აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ვალდებულებას და არ არის დაკავშირებული დამატებით ხარჯებთან, მიზანშეწონილი იქნება თუ პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების პროცესში გამოყენებული იქნება საჯარო მოსამსახურეთა ადამიანური რესურსი.

--- გათვალისწინებული იქნება 2026 წლის ბიუჯეტში და განისაზღვრება 2,0 ათასი ლარით.

6. პროგრამა - ქალისა და კაცის თანასწორობა (პროგრამული კოდი 05 05), ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20 ივნისის N8 დადგენილების შესაბამისად ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, 4.5. ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო (პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის აღწერა: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ქალთა და ბავშვთა საკითხებზე სისტემური მუშაობისა და საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, იქმნება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების ანალიზის განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში ქალთა და ბავშვთა უფლების დარღვევის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად წინადადებების შემუშავებას; ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხების რეალიზაციისათვის ცალკეული ღონისძიებების შემუშავება და დაგეგმვას; ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხების უზრუნველსაყოფად განხორციელებული ღონისძიებების მონიტორინგის და შეფასების სისტემის შემუშავება და დანერგვას, ასევე, შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას.

პროგრამის მიზანი: საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან კოორდინირებული მუშაობა და ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვა.

--- გათვალისწინებული იქნება 2026 წლის ბიუჯეტში

7. ქვეპროგრამა - ქალისა და კაცის თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა (ქვეპროგრამის კოდი 05 05 01) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4.5.1. ქვეპროგრამა-ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა (ქვეპროგრამის კოდი 05 05 01).

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას და მისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხელშეწყობას.

ქვეპროგრამის მიზანი:

ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა.''.

აღნიშნული ქვეპროგრამით გათვალისწინებული თანხა ნაცვლად 10 000 განისაზღვროს 2000 ლარით.

--- გათვალისწინებული იქნება 2026 წლის ბიუჯეტში და განისაძღვრება 2,0 ათასი ლარით.

8. ქვეპროგრამა - ქალთა ეკონომიკური გაძლიერება (ქვეპროგრამის კოდი 05 05 02) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4.5.2. ქვეპროგრამა - ქალთა ეკონომიკური გაძლიერება (ქვეპროგრამის კოდი 05 05 02)

ქვეპროგრამის აღწერა:

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით კონკურსის გამოცხადება ადგილობრივი ქალი მეწარმეებისთვის, სადაც ისინი კონკურსში გამარჯვების შედეგად მოიპოვებენ შესაბამის დაფინანსებას.

ქვეპროგრამის მიზანი:

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება.''

აღნიშნული ქვეპროგრამით გათვალისწინებული თანხა ნაცვლად 10 000 ლარისა განისაზღვროს 15 000 ლარით, კონკურსის აქტუალობიდან და წარმოდგენილი პროექტების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ასევე აღნიშნული ქვეპროგრამა ცალკე ითვალისწინებდა შშმ პირების დედების ფოკუს ჯგუფების კვლევის საფუძველზე შშმ პირთა დედებისთვის დასაქმებისა და შემოსავლების მიღების ხელშეწყობის მიზნით მცირე მეწარმეობის განვითარებისთვის დაფინანსებას, თითოეულ ბენეფიციარზე არაუმეტეს 1 500 (ათას ხუთასი) ლარით, აღნიშნული ჩანაწერი უქმდება და მათ შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროგრამით.

--- გათვალისწინებული იქნება 2026 წლის ბიუჯეტში.

9. აქვე დაემატოს ქვეპროგრამა:

,,ქვეპროგრამა-ბავშვთა საბჭოების მხარდაჭერა(05 05 03)

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლებში შექმნილია ბავშვთა საბჭოები, რომლებიც წარმოადგენენ და განახორციელებენ მცირე პროექტებს ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით.

ქვეპროგრამის მიზანი:

ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით ცნობიერების ამაღლება.“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვროს 1500 ლარით.

------ მოგახსენებთ, რომ ქვეპროგრამის დამატება შესათანხმებელია ფინანსთა სამინისტროსთან, დადებითი პასუხის შემთხვევაში აღნიშნული განხორციელდება ბიუჯეტში ცვლილების და დამატების შეტანის დროს.

10. ქვეპროგრამა - ქალისა და კაცის თანასწორობა (ქვეპროგრამის კოდი 06 02 08), ქვეპროგრამით თითოეულ ბენეფიციარზე გათვალისწინებული თანხა ნაცვლად 1000 ლარისა განისაზღვროს 500 ლარით, ხოლო ქვეპროგრამის ბიუჯეტი 5000 ლარით.

--- გათვალისწინებული იქნება 2026 წლის ბიუჯეტში.

11. ქვეპროგრამა - სოციალური პრობლემების გადაწყვეტისა და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს ხელშეწყობის მიზნით პროგრამების თანადაფინანსება (ქვეპროგრამის კოდი 06 02 09). მუნიციპალიტეტის მერიის მიერ თანადაფინანსებას ექვემდებარება სოციალური პრობლემების გადაწყვეტის და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს განვითარების მიზნით იურიდიული პირების მიერ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი წარმოდგენილი პროექტები.

ბიუჯეტი კი განსაზღვრავს კონკრეტული პროექტების ჩამონათვალს, რომლებიც აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში ექვემდებარება დაფინანსებას, რაც შეუსაბამოა აღნიშნული ქვეპროგრამის შინაარსთან, რადგან თუ ქვეპროგრამა ეხება მუნიციპალიტეტში იურიდიული პირების მიერ წარმოსადგენ პროექტებს, აღნიშნულს უნდა ჰქონდეს საკონკურსო/საკომისო ხასიათი და

წიანასწარ ამ ჩამონათვალის განსაზღვრა რომელი ორგანიზაცია მიმართავს მუნიციპალიტეტს და წარმოუდგენს პროექტს დაფინანსების მოთხოვნით შეუძლებელია.

თუკი მუნიციპალიტეტის ინტერესს წარმოადგენს ზემოაღნიშნული პროექტების დაფინანსება, უმჯობესი იქნება თუ ქვეპროგრამა ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

,,5.1.9. ქვეპროგრამა- სოციალური პრობლემების გადაწყვეტის და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების პროგრამა.(ქვეპროგრამის კოდი 06 02 09).

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან თანადაფინანსებას ექვემდებარება შემდეგი პროგრამები:

ა(ა)იპ განათლების ცენტრის (6-დან 18-წლამდე პირების დღის ცენტრი, კომუნალური და კვების პროდუქტების ხარჯი) თანადაფინანსება ;

წითელი ჯვარი ;

ქალები ქალებისათვის საინიციატივო შეხვედრები გურიაში ;

ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა ;

გამარჯვებულ ქალთა კლუბი;

საინიციატივო ჯგუფი ,,გოგოლესუბნელი ქალები";

ყველა ასაკის შშმ პირთა მდგომარეობის შესწავლა და დასვენება მთისა და ზღვის კურორტებზე;

ქვეპროგრამის მიზანი: სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ან/და მოწყვლადი ჯგუფების (სოციალურად დაუცველი, შშმ პირები, მრავალშვილიანი ოჯახები, ძალადობის მსხვერპლები, ზრუნვის სისტემიდან გასული, კანონთან კონფლიქტში მყოფი, მარჩენალდაკარგული პირები და ა. შ.) მხარდაჭერა.

აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს სოციალური პროგრამების დაფინანსებას რომელსაც ახორციელებს ისეთი ა(ა)იპ დაწესებულებები რომლებსაც აქვთ სახელმწიფო დაფინანსება, მუნიციპალიტეტის მხრიდან ხორციელდება მხოლოდ თანადაფინანსება.

12. IV პრიორიტეტი: კულტურა, რელიგია, გენდერული თანასწორობა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00), მიზანშეწონილია აღნიშნულ პროგრამას ცალკე ქვეპროგრამების სახით დაემატეოს,

-სპორტის ხელშეწყობა: სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება ფასიანი საჩუქრებით; მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე სპორტსმენებისა და მწრთვნელების წახალისება ფულადი ჯილდოთი; ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება; სასკოლო სპორტული ოლიმპიადისა და ღონისძიებების ორგანიზება; მუნიციპალური სპორტული ტურნირების ორგანიზება. ქვეპროგრამის განმახორციელებელი იქნება შესაბამისი სამსახური.

ასევე ცალკე ქვეპროგრამად ჩამოყალიბდეს კულტურის ხელშეწყობა: მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამოების ორგანიზება; კულტურული პროექტების თანადაფინანსებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების წახალისებას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნება, ქვეპროგრამის განმახორციელებელი იქნება შესაბამისი სამსახური.

--- მოგახსენებთ, რომ ქვეპროგრამის დამატება შესათანხმებელია ფინანსთა სამინისტროსთან, დადებითი პასუხის შემთხვევაში აღნიშნული განხორციელდება ბიუჯეტში ცვლილების და დამატების შეტანის დროს.

13. ქვეპროგრამა - ახალგაზრდული საქმიანობის ხელშეწყობა (ქვეპროგრამის კოდი 05 07) ბიუჯეტი ნაცვლად 20 000 ლარისა განისაზღვროს 60 000 ლარით.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, ადგილობრივ დონეზე ხელი შეუწყოს ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებას, ახალგაზრდობა არის საზოგადოების მნიშვნელოვანი სეგმენტი, რომელსაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანის დიდი პოტენციალი აქვს, შესაბამისად მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტი ითვალისწინებდეს ახალგაზრდების საჭიროებებს და ხელს უწყობდეს მათ მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. შესაბამისად მნიშვნელოვანია აღნიშნული მიმართულებით შესაბამისი ფინანსური რესურსი იქნეს გათვალისწინებული.

--- გათვალისწინებულია 2026 წლის ბიუჯეტში და განისაზღვრა 60,0 ათასი ლარით.

14. საბიუჯეტო პროცესების ეფექტურად და გამჭირვალედ განხორციელების მიზნით მნიშვნელოვანი იქნება, თუ ბიუჯეტში ქვეპროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი თითოეული ღონისძიებებისათვის საჭირო ფინანსური რესურსი აისახება ბიუჯეტში დეტალურად. (მაგალითად: წითელი ჯვარი ; გამარჯვებულ ქალთა კლუბი; საინიციატივო ჯგუფი ,,გოგოლესუბნელი ქალები''; სხვა კულტურული სპორტული ღონისძიებები და ა.შ).

---

15. 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტში მუხლი 3. გრანტების სახით შემოსავლებში წარმოდგენილია 5 278,1 ათასი ლარი, აქედან 386,8 ათასი ლარი არის მიზნობრივი ტრანსფერი, ხოლო 4 891,3 ათასი ლარი სპეციალური ტრანსფერი.

გთხოვთ, წარმოგვიდგინოთ, ნორმატიული აქტი, ან რაიმე სხვა თუ რის საფუძველზე იქნა შეტანილი ბიუჯეტში ზემოთ აღნიშნული სპეცილაური ტრანსფერის რაოდენობა;

---- შესათანხმებელია ფინანსთა სამინისტროსთან.

16. ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტში მუხლი 2. შემოსულობების სახით არაფინანსური აქტივების კლების ნაწილში ნაჩვენებია 500 ათასი ლარი.

გთხოვთ, წარმოგვიდგინოთ, შესაბამისი ნორმატიული აქტები, ან აგვიხსნათ, თუ რის საფუძველზე იქნა შესაბამისი თანხა ბიუჯეტში ასახული;

----- აღნიშნული შემოსავალი დაკორექტირდება და გახდება 150,0 ათასი ლარი.

17. 2026 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას ადმინისტრაციულ ერთეულებში საბიუჯეტო ასიგნებები:

- ხრეშოვანი ან გრუნტის არსებული გზების სავალი ნაწილის აღდგენისა (ღორღი, ხრეში) და სანიაღვრე არხების მოწყობისათვის;
- წყალსადენის ქსელის რეაბილიტაციისთვის;
- სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობისათვის;

- გათვალისწინებულია 2026 წლის ბიუჯეტში.

18. მუნიციპალიტეტის მერიამ დააზუსტოს, ადგილობრივი ბიუჯეტიდან (მუხლი 16. კოდი 06.01.03) გაცემული დაუფინანსებელი ადმინისტრაციული დაპირებების რაოდენობა თანხობრივად, რომელიც გათვალისწინებული იქნება 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის საბიუჯეტო ასიგნებებში.

--- აღნიშნული დაზუსტდა შესაბამისი სამსახურის მიერ.

19. 1) 2026 წლის ბიუჯეტში უნდა იყოს გათვალისწინებული სამხატვრო სკოლის და ბიბლიოთეკის შენობის რემონტი.

-- ადგილობრივი ბიუჯეტით აღნიშნული ობიექტების რემონტი ვერ განხოციელდება. არნიშნულის განხორციელება უნდა მოხდეს ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული კაპიტალური ტრანსფერის ფარგლებში.

2) *3.3. პროგრამა - არაფორმალური განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 07)*

პროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს საჯარო სკოლებში ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი მოსწავლეების დაჯილდოებას შესაბამისად არაუმეტეს 1000 და 500 ლარისა.

---აღნიშნულ შენიშვნას სრულად ეთანხმება აღმასრულებელი ორგანო, გთხოვთ მიუთითოთ დაფინანსების წყარო და იქნება გათვალისწინებული.

3) 4.5.2. ქვეპროგრამა - ქალთა ეკონომიკური გაძლიერება (ქვეპროგრამის კოდი 05 05 02)

ქვეპროგრამის აღწერა:

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით კონკურსის გამოცხადება ადგილობრივი ქალი მეწარმეებისთვის, სადაც ისინი კონკურსში გამარჯვების შედეგად მოიპოვებენ შესაბამის დაფინანსებას.

2026 წელს ჩატარებული შშმ პირების დედების ფოკუს ჯგუფების კვლევის საფუძველზე შშმ პირთა დედებისთვის დასაქმებისა და შემოსავლების მიღების ხელშეწყობის მიზნით მცირე

მეწარმეობის განვითარებისთვის დაფინანსება, თითოეულ ბენეფიციარზე არაუმეტეს 3000 -5000 ლარისა.

--- დაფინანსების წყაროს მითითების შემთხვევაში იქნება გათვალისწინებული.

4) 5.1.2 ქვეპროგრამა - მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება (ქვეპროგრამის კოდი 06 01 03)

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეები, სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით:

- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეები, რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა 0-დან 250 000-მდეა.

- ბენეფიციარის მედიკამენტის შესაძენი თანხა განისაზღვროს არაუმეტეს 100 (ასი) ლარის ოდენობით, რომელიც გაიცემა საბიუჯეტო წლის განმავლობაში ერთხელ.

- ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურების გადასახდელი თანხა 1000 (ათასი) ლარის ჩათვლით ანაზღაურდეს არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარით, 1001 (ათას ერთი) ლარზე მეტი კი 60%-ით, მაგრამ არაუმეტეს 3000 ლარით.

- საპენსიო ასაკის პირების მკურნალობის ხარჯები პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის ნაწილში ანაზღაურდეს არაუმეტეს 1500 (ათას ხუთასი) ლარით.

- ონკოდაავადებულთა სამედიცინო მომსახურება, თითოეული ბენეფიციარის სამედიცინო მოსახურების ხარჯი განისაზღვროს წელიწადში 3000 (სამიათასი) ლარით, ხოლო მედიკამენტების შესაძენი ხარჯის დაფინანსება 2000 (ორიათასი) ლარით;

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სამედიცინო მომსახურებას თანადაფინანსება და მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურება, ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურების გადასახდელი თანხა 1000 (ათასი) ლარის ჩათვლით ანაზღაურდეს არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარით, ხოლო 1001 (ათასერთი) ლარზე მეტი 60% (სამოცი) პროცენტით, მაგრამ არუმეტეს 5000 ლარი. ბენეფიციარის მედიკამენტების შესაძენი თანხა განისაზღვროს 300 (სამასი) ლარით, რომელიც გაიცემა საბიუჯეტო წლის განმავლობაში ორჯერ.

- ომის ვეტერანების და საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილე პირების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება და მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურება. ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება თანადაფინანსების სახით განისაზღვროს არაუმეტეს 5000 (ხუთიათასი) ლარით, ხოლო მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურება არაუმეტეს 300(სამასი) ლარით, რომელიც გაიცემა წელიწადში მრავალჯერადად;

- 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების სამედიცინო მომსახურების დაფინანსება და მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურება. ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურების ხარჯი ანაზღაურებული იქნეს სრულად, ხოლო მედიკამენტების შესაძენი თანხა განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლარით, რომელიც წელიწადში გაიცემა ერთხელ.

- 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების (გულის თანდაყოლილი პათოლოგიით, ლეიკემიით, ეპილეფსიით, ცერემბრალური დამბლით დაავადებული) მკურნალობის ხარჯების დაფინანსება.

- მეტყველების დარღვევათა კორექციის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება.

- მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური და კომპიუტერული გამოკვლევების (კორონოგრაფია, ანგიოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია და სხვა) დაფინანსება. ქვეპროგრამის მოსარგებლის სამედიცინო მომსახურების ხარჯი განისაზღვროს არაუმეტეს 1000 ათასი) ლარით, გარდა გულის და/ან კორონალური არტერიების ანგიოგრაფიის. გულისა და/ან კორონალური არტერიების ანგიოგრაფიის მომსახურების ხარჯი, რომელიც განისაზღვროს არაუმეტეს 3000 (სამიათასი) ლარით.

- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის მომსახურების დაფინანსება. თითოეული მოსარგებლის მომსახურების წლიური ლიმიტი განისაზღვროს 5000 (ხუთიათასი)ლარი.

- მექანიკური სავარძელ/ეტლის შესაძენად ფულადი დახმარება განისაზღვროს არაუმეტეს 1500 (ათასხუთასი) ლარით.

ქვეპროგრამის მიზანი:

სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების თანადაფინანსება

5.1.3. ქვეპროგრამა - დაკრძალვის ხარჯი (ქვეპროგრამის კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში ხდება სარიტუალო მომსახურების ხარჯის ანაზღაურება.

- მარტოხელა მიცვალებულის სარიტუალო მომსახურების ხარჯი განისაზღვროს 1000 (ათასი) ლარის ოდენობით;

ქვეპროგრამის მიზანი:

სარიტუალო მომსახურების ხარჯის ანაზღაურება.

5.1.4 . ქვეპროგრამა - სტიქიური მოვლენების და მძიმე საცხოვრებელ და ეკონომიკურ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება (ქვეპროგრამის კოდი 06 02 03)

ქვეპროგრამის აღწერა:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფ ოჯახებს, ეძლევათ საშუალება მიიღონ დახმარება, კერძოდ:

- მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი, უბედური შემთხვევებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ფულადი დახმარება, საჭიროების შემთხვევაში საცხოვრებელი ფართით დროებით უზრუნველყოფა.

- მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი, სტიქიური მოვლენების და უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებული ოჯახების ფულადი დახმარება განისაზღვროს არაუმეტეს 5000 (ხუთი ათასი) ლარით, გარდა ხანძრის შედეგად დაზარალებულისა.
- ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახის ერთჯერადი ფულადი დახმარება განისაზღვროს 10000 (ათიათასი) ლარით.
- დროებით საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისატვის ბინის ქირის ოდენობა განისაზღვროს თვეში (300) სამასი ლარით;

ქვეპროგრამის მიზანი:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი, მძიმე საცხოვრებელ და ეკონომიკურ პირობებში მყოფი ოჯახებისადმი ერთჯერადი დახმარება, გადაუდებელ შემთხვევაში ბინის შესყიდვის ან დაქირავების ხარჯების ანაზღაურება.

5.1.5. ქვეპროგრამა - ლტოლვილთა დახმარება (ქვეპროგრამის კოდი 06 02 04)

ქვეპროგრამის აღწერა:

- ფულადი დახმარება განისაზღვროს ზამთრისათვის საჭირო სათბობი შეშის შესაძენად თითოეული ოჯახისათვის 200 (ორასი) ლარით;
- გარდაცვლილი დევნილის სარიტუალო მომსახურების ხარჯი განისაზღვროს 400 (ოთხასი) ლარით;
- დევნილი ოჯახის ერთჯერადი დახმარება 200 (ორასი) ლარით;

ქვეპროგრამის მიზანი:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადადგილებულ პირთა დახმარება.

5.1.6. ქვეპროგრამა - საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება (ქვეპროგრამის კოდი 06 02 05)

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გარდაცვლილ მეომართა ოჯახები და დაზარალებული პირები.

- ქ.თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მიზნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებული (მოწამლული) პირებისათვის გათვალისწინებული იქნას 500 (ხუთასი) ლარი.

- საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მონაწილე საბრძოლო ჭრილობების შედეგად გარდაცვლილი (ომის შემდგომი პერიოდი) მებრძოლის ოჯახებს დაეწიოს დახმარება 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

- საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გარდაცვლილ მეომართა ოჯახების და დაზარალებული პირების დახმარება. ერთჯერადი ფულადი დახმარება განისაზღვრება 3000 ლარის ოდენობით მიიღებს:
- ქ.თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მიზნით გამართული მშვიდობიანი აქციის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად გარდაცვლილი პირის ერთი ოჯახი და ორი დაზარალებული (მოწამლული) პირი.
- აგვისტოს ომის დროს დაღუპული მეომრის სამი ოჯახი და აფხაზეთის კონფლიქტის დროს დაღუპული მეომრის რვა ოჯახი;
- ზამთრის სეზონთან დაკავშირებით შეშის შესაძენად გარდაცვლილი მეომრის თითოეულ ოჯახს და დაზარალებული პირებს დამატებით მიეცეთ 200 (ორასი) ლარი.

ქვეპროგრამის მიზანი:

საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება.

5.1.7. ქვეპროგრამა - ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (ქვეპროგრამის კოდი 06 02 07)

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან:

- მრავალშვილიანი ოჯახები. ყოველთვიური ფულადი დახმარება განისაზღვროს თითოეულ ბავშვზე თვეში 100 (ასი) ლარის ოდენობით.

- ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება. ქვეპროგრამით მოსარგებლეს მიეცეს ერთჯერადი ფულადი დახმარებას თითოეულ ახალშობილზე 500 (ხუთასი) ლარი.

- მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს, 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით და ზამთრის სეზონისათვის სათბობი შეშის შესაძენად ერთჯერადი ფულადი დახმარება თითოეულ მონაწილეზე განისაზღვროს 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, ხოლო სათბობი შეშის შესაძენად 500 (ორასი) ლარით.

- 100 წელს მიღწეული მოქალაქეთათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება განისაზღვროს 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

- 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვებისადმი ყოველთვიური ფულადი დახმარების ოდენობა თითოეულ ბენეფიციარის ოჯახზე განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;

- საქართველოს კანონის ,,ბავშვის უფლებათა კოდექსის“ შესაბამისად ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის მიზნით ერთჯერადი ფულადი დახმარება განისაზღვროს ბენეფიციარის ოჯახზე 800 (რვაასი) ლარამდე.

- ხელოვნური კვების პროდუქტების საჭიროების მქონე პირების, ქვეპროგრამის მოსარგებლე პირები, ბენეფიციარის მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი საჭიროების მიხედვით მიიღებს ყოველთვიურ 500 ხუთასი ლარის ოდენობით, ან ხელოვნური კვების პროდუქტების მოთხოვნის შემთხვევაში თანხა ხელშეკრულების საფუძველზე გადაერიცხება პროდუქტების შემომტან ორგანიზაციას.

- 0-დან 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ოჯახების კომუნალური გადასახადების დაფარვა.

-თირკმლის უკმარისობით დაავადებული დიალიზზე მყოფ პირებს ყოველთვიურად მიეცეთ 300 (სამასი) ლარი მგზავრობის ღირებულების ასანაზღაურებლად.

- ჰემოფილიით დაავადებულ პირებს ფულად დახმარების მიზნით წელიწადში ერთხელ მიეცეთ არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა;

- განსაკუთრებით მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე პირთა დახმარება თითოეულ

ბენეფიციარზე განისაზღვროს 300 (სამასი) ლარის ოდენობით;

-მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირის ფინანსური დახმარება ყოველთვიურად განისაზღვროს 300 ლარის ოდენობით.

- აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების ფინანსური დახმარება სასწავლო წლის განმავლობაში განისაზღვროს 3000 (სამიათასი) ლარის ოდენობით;

ქვეპროგრამის მიზანი:

სხვადასხვა საჭიროების მქონე ბავშვებისა და ოჯახების მხარდაჭერა, მათი გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით.

20. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, საცხოვრებელი სახლების უმრავლესობა ხანდაზმულია, არარის ხშირი ახალ მოსახლეობის შემთხვევები. ამ პროცესის სტიმულირებისთვის, ხომ არ არის შესაძლებელი მუნიციპალიტეტმა შეისყიდოს, ორი - სამი საცხოვრებელი სახლის ტიპიური პროექტი, მსურველებს საჩუქრად გადაეცემა, რომლის საერთო ღირებულება 15000 ლარზე მეტი არ იქნება.

21. 2026 წლის წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში, ასევე პრიორიტეტების დიკუმენტში, ჩარჩენილია ტერმინები: ლტოლვილი, გენდერი და სხვა, გთხოვთ გაითვალისწინოთ და გაასწოროდ სტილისტურად.

---- აღნიშნული ასკითხები ეხება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარებების გაცემის წესს, რაზედაც მიმდინარეობს მუშაობა. (თქვენი მხრიდან დაფინანსების წყაროს მითითების შემთხვევაში იქნება გათვალისწინებული);